



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება № 434

17 06 2016წ.

ქ. თბილისი

დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის პროგრამების დანერგვის კოორდინატორის 2016 წლის 16 ივნისის №700609 სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2015 წლის 13 ივლისის №489 ბრძანება.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების განყოფილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადებშია და წესით.

დირექტორი



გიორგი შარვაშიძე

დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი

**მუხლი 1. რეგულირების სფერო**

ეს დებულება არეგულირებს დარგობრივი საბჭოების (შემდგომში - საბჭოები) შექმნისა და საქმიანობის წესს.

**მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის მიზანი, ფუნქციები და მიმართულებები**

1. დარგობრივი საბჭოების საქმიანობის მიზანია პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესის ხელშეწყობა.

2. საბჭოს ფუნქციებია:

ა) პროფესიულ კვალიფიკაციათა ან კვალიფიკაციების შიგნით ცალკეული კომპეტენციების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) პროფესიული სტანდარტების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების/მოდულების შემუშავების საჭიროებების შესახებ ინიციატივების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) პროფესიული სტანდარტების ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების/მოდულების პროექტების/ცვლილებების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

დ) სახელმწიფო შესწავიდეების განხორციელების მიზნით, მოდულებში მატერიალური რესურსების სპეციფიკაციების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება;

ე) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალიდან“ პროფესიული სპეციალიზაციების ამოღების ან შეცვლის შესახებ საკითხების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

ვ) დარგობრივ ჭრილში, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ან/და პროფესიული განათლების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება.

3. დარგობრივი საბჭოების კომპეტენცია განსახილველ საკითხებთან მიმართებით განისაზღვრება განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორ ISCED 2013-ით დადგენილი განათლების სფეროების შესაბამისად.

4. ამ დებულების პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების მიზნით, იქმნება 11 მიმართულების საბჭო:

ა) ხელოვნების, განათლების, ჰუმანიტარული მიმართულების;

ბ) სოციალური, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების;

გ) ბიზნესის, ადმინისტრირების, სამართლის მიმართულების;

დ) ინჟინერიის მიმართულების;

ე) მრეწველობის, კვების პროდუქტების გადამამუშავების მიმართულების;

ვ) მშენებლობის, არქიტექტურის მიმართულების;

ზ) ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულების;

თ) სოფლის მეურნეობის, სატყეო საქმის, მეთევზეობის, ვეტერინარიის მიმართულების;

ი) ჯანდაცვის, სოციალური დაცვის მიმართულები;

კ) მომსახურების სფეროს მიმართულების;

ლ) ტრანსპორტის მიმართულების.

### მუხლი 3. საბჭოს სტრუქტურა და ფორმირების წესი

1. თითოეული საბჭო შედგება არანაკლებ 7 და არაუმეტეს 9 წევრისაგან, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 2 წლით.
2. საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.
3. ცენტრის წერილობითი მიმართვის ან/და საჯარო გამოცხადების საფუძველზე, საბჭოს წევრთა კანდიდატურებს ცენტრის დირექტორს წარუდგენენ:
  - ა) დარგის შესაბამისი სახელმწიფო უწყებები - 1 წევრი;
  - ბ) დამსაქმებლები ან/და მათი გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილებით განსაზღვრულ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარეს - 3 წევრი;
  - გ) დასაქმებულები ან/და მათი გაერთიანებები, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის N258 დადგენილებით განსაზღვრულ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის მხარეს - 3 წევრი;
  - დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების გაერთიანებათა წარმომადგენლები - 2 წევრი.
4. საბჭოს ჰყავს საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი, რომელთა განსაზღვრაც ხდება ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

### მუხლი 4. საბჭოს წევრთა საქმიანობა

1. საბჭოს წევრის ფუნქციებია:
  - ა) ცენტრის ორგანიზებით გამართულ საინფორმაციო სემინარებში მონაწილეობა;
  - ბ) საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების განხილვებში მონაწილეობა;
  - გ) საბჭოს სხდომებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა.
2. საბჭოს თავმჯდომარე:
  - ა) ხელმძღვანელობს საბჭოს სხდომას;
  - ბ) ხელმოწერით ადასტურებს სხდომის ოქმს.
3. საბჭოს მდივნის ფუნქციაა საბჭოს სხდომის ოქმის წარმოება და ხელმოწერით დადასტურება.
4. საბჭოს წევრთა საქმიანობის პრინციპებია:
  - ა) მიუკერძოებლობა;
  - ბ) ობიექტურობა;
  - გ) მუშაობის ეფექტიანობა;
  - დ) საკითხებისადმი სიღრმისეული მიდგომა.
5. საბჭოს წევრის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ფუნქციების არაჯეროვნად შესრულების, მათ შორის, საბჭოს სხდომაზე ზედიზედ სამჯერ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, აღნიშნული პირის ჩანაცვლებასთან დაკავშირებით მიმართოს წარმდგენ ორგანოს.

### მუხლი 5. საბჭოს სხდომები

1. საბჭოს სხდომის მოწვევას უზრუნველყოფს ცენტრი ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული სუბიექტების მეშვეობით.
2. საბჭოს სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. საბჭოს წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება იმ პროფესიულ სტანდარტებთან ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებთან/მოდულებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში, რომლის შემუშავებაშიც იგი თავად იღებდა მონაწილეობას ან რომლის ინიციატორ მხარესაც იგი წარმოადგენს.
5. საბჭოს სხდომები დახურულია. საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ზეპირ მოსმენაზე სხვა პირების, მათ შორის, შესაბამისი მიმართულების ეროვნული ან საერთაშორისო ასოციაციების/გაერთიანებების ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევა განხილვებში მონაწილეობის მიზნით.
6. პროფესიული სტანდარტი ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ან/და მოდული საბჭოს წევრებს განსახილველად ეგზავნებათ ზეპირ მოსმენამდე არანაკლებ 5 სამუშაო დღით ადრე.
7. პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) ფარგლებში შემუშავებული პროფესიული სტანდარტის, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის პროექტს/ცვლილებებს საბჭოზე წარადგენს პროგრამის მენეჯერი ან/და მისი თანხმობით - სხვა პირი/პირები.
8. საბჭოს მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს ცენტრის კვალიფიკაციების მართვისა და არაფორმალური განათლების სამმართველო და პროგრამა.

#### მუხლი 6. საბჭოს გადაწყვეტილებები

1. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრის წესით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.
2. საბჭო იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:
  - ა) პროფესიული სტანდარტის დამტკიცების, პროფესიულ სტანდარტში ცვლილების შეტანის ან პროფესიული სტანდარტის გაუქმებაზე დადებითი რეკომენდაციის შესახებ;
  - ბ) პროფესიული სტანდარტის დამტკიცების, პროფესიულ სტანდარტში ცვლილების შეტანის ან პროფესიული სტანდარტის გაუქმებაზე უარყოფითი რეკომენდაციის შესახებ;
  - გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის დამტკიცების/მასში ცვლილების შეტანის/გაუქმების თაობაზე დადებითი რეკომენდაციის შესახებ;
  - დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ან/და მოდულის დამტკიცების/მასში ცვლილების შეტანის/გაუქმების თაობაზე უარყოფითი რეკომენდაციის შესახებ;
  - ე) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის გაგრძელების ან ვადის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ;
  - ვ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალიდან“ პროფესიული სპეციალიზაციების ამოღების შესახებ;
  - ზ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით დამტკიცებული „მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციებისა და პროფესიული სპეციალიზაციების ჩამონათვალიდან“ პროფესიული სპეციალიზაციების შეცვლის შესახებ;
  - თ) ცენტრის დირექტორისათვის ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების შესახებ.